№ 90 11 მაისი, ხუთშაბათი 1866—1878 11 მაისი, ხუთშაბათი № 90

ᲧᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოდოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиралаговის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиралаговის სახლში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Бареше მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дрозба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულსა, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელ სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 9 მაისს. აქაური რუსის კონსული პუმანი პეტერბურღში წავიდა; ის დაესწრება კონგრესზე ბორჩაკოვის სოვეტნიკად ანუ რუსეთის მეორე დანდობილ პირად.

ᲙᲐᲘᲠᲘ, (ეგვიპტე), 9 მაისს. ინგლისის ოთხი ხომალდი, რომელზედაც ინდოეთის ჯარები სხედან, სუეცის არხში შემოვიდნენ; ერთი ხომალდი კარანტინმა გააჩერა, რადგან ხოლერით ავათმყოფი იყო ზედ.

ᲕᲔᲜᲐ, 9 მაისს. „Polit. Corresp."-ში იწერებიან ბუხარესტიდამ: რუსეთის ჯარის მეთერთმეტე კორპუსი ბულგარიაში წავიდა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘ, 10 მაისს. სპარსეთის შაჰს ხვალ მოელიან.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲩᲘ, 8 მაისს. ახლად მოსულ რუსის ელმა ლობანოვ-როსტოვსკიმ უთხრა აქ მცხოვრებ რუსებს, რომ, თუმცა საქმე ძნელს მდგომარეობაში არისო, მაგრამ მორიგების იმედი ჯერ კიდევ არ გამქრალაო.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 8 მაისს. ბრაფ შუვალოვს დღეს თ. ბისმარკის მოადგილესთან ბიულოვთან ჰქონდა ლაპარაკი; შემდეგ ის დიდ ხანს ელაპარაკა ბერმანიის იმპერატორს ვილჰელმს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 მაისს. გაზეთს „Times"-ს მოუვიდა გუშინ სტამბოლიდამ შემდეგი დეპეშა: აქ მშვიდობიანების ჩამოგდების იმედი აღარა აქვთ. ახალ რუსის ელჩმა ლობანოვ-როსტოვსკიმ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲐᲛ მაისის 8-ს, გამოცხადებისა თანახმად, თფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში იყო კრება იმ ახალის საზოგადოების წევრთა, რომლის განზრახვა არის, რომ სწავლაში ხელი მოუმართონ ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებს. კრებაზე რუსულად და ქართულად წაიკითხეს საზოგადოების დამტკიცებული წესდება და შემოეგ ამოარჩევს ამ საზოგადოების გამგე კომიტეტი; თავს-მჯდომარედ ამორჩეულ იქმნა თ. ბ. რ. ერისთავი, იმის ამხანაგად „Კ. Ძ. მამაცაშვილი. წევრებად: თ. დ. ავალიშვილი, თ. დ. ერისთავი, უუ. Ი. ᲑᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲪᲮᲕᲔᲓᲐᲫᲔ ,Ვ. ᲗᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ და Ლ. ᲛᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ; სეკრეტრად უფ. ნ. ᲫᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘ.

*** ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲑᲐᲧᲚᲔᲑᲛᲐ უკვე დაიწყეს მკვახე ხილის გაყიდვა ქალაქში. რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი სანიტარული კომიტეტები ამას მიაქცევენ ყურადღებას და ეცდებიან ეს ხალხის ჯანმთელობისათვის ძლიერ მავნებელი გარემოება მოსპონ.

*** ᲐᲛᲐᲡ წინათ ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ იმერეთში გაგზავნა კამისია იქაური მემამულის ლონგვილის მამულის დასახედავად, სადაც ამბობდნენ, ფილოქსერა თუ რაღაც სხვა ავათმყოფობა გაჩნდა ვაზისაო.

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲙᲐᲡᲞᲘᲓᲒᲐᲜ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲐᲛᲓᲘᲜ

ᲬᲧᲜᲐᲠᲘ, მოლრუბლული საღამო, წვიმაც სცრიდა, როცა ჩ. მოველ სოფლიდგან სტანციაში.

ᲘᲛ დღეს კასპში ისეთი მხიარულობა იყო, რომ მგონი ამ სოფელს ძვირად შეხვდება ხოლმე: მომღერალი ბულბულა თავის მეჯიანურე და მედაირეთი ამხიარულებდნენ საუკეთესო საზოგადოებას. ერთ ადგილს სადილი თავდებოდა, მეორე ადგილს ვახშამი მზადდებოდა. ᲘᲡ ამბავი სულ ორ პატივცემულ და საყვარელ ახალ-დაქორწილებულ გვერიტებისთვის იყო. ᲐᲛᲐᲗ აკილებდნენ იქით, სადაც სანუგეშოთ მიელოდნენ.

ᲗᲣმცა ცა არა თანაუგრძნობდა ამათ მხიარულებას, მაგრამ მთა და ბარი კი მშვენიერად მწვანე ხავერდისაებით ყვავილებით შემკული ფეხ-ქვეშ ეფინებოდა და დახაროდა ამათ ბედნიერებას...

ᲐᲡᲔ დავტოვე კასპი, როცა ᲨᲝᲗᲘᲡ პოეზდი მოქრიალდა. ᲝᲠ მინუტ შემდეგ ზარი მასამედ დარეკეს, შეველი ვაგონში და ადგილიდგანაც დავიძერით.

ᲝᲠი ნაბიჯი რომ წავედგი დასაჯდომათ, ნაცნობი სახე დამხვდა და მომძახა:

— ᲝᲰ, ს—ან Ბ—იჩ გაუმარჯოს.

— Ბაგმარჯოს, ხიხო ᲐᲠᲢᲔᲛᲘᲩ! უპასუხე და მის წინ დავჯექი.

— ᲐᲑᲐ თუ რა ჩქარა მირბის; თქვა ხიხო ᲐᲠᲢᲔᲛᲘᲩᲛᲐ და თან მკითხა—სად მიხვალო?

— სურამს! უპასუხე მე.

— ᲕᲐ რა შვილი ხარ! შენც გინდა მე მომატყვიილო! ᲔᲡ ხომ ᲫᲚᲐᲥᲨᲘ მიდის?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ წამს დავარწმუნე, რომ შესცვლია ვაგონი, მაგრამ გონებაზე მოვიდა და თქვა:

— ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜᲘ ვაგონიდგან ფეხი არ გამიდგია, შენ ხუმრობ?

როცა გამეცინა, მაშინ ძლივს სული მოიბრუნა და გული დაიმშვიდა. შემდეგ გავაბით ლაპარაკი. სხვათა შორის ვკითხე სად ყოფილა.

— ᲘᲛ ემე ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ ვიყავი; სამშაბათი წამოვედი და დღეს შაფათი უკან მივალ. ᲧᲝᲩᲐᲚᲘ არა ვარ! ᲰᲐᲛ საქმე გავაკეთე, ᲰᲐᲛ ჩქარა მივდივარ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ უკვირს, კონდუხტორები მეუბნებიან: ის ემე ფრინვალი იყავით, რომ ესე მალე ბრუნდებით!

— რა საქმე გქონდა ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ, ხიხო ᲐᲠᲢᲔᲛᲘᲩ?

— ᲛᲐᲮᲚᲐᲡ იყო რამ საქმე, რა ლოვკათ გავარიგე! ᲧᲕᲔᲚᲐ დიდ კაცებთან ვიყავ, სუყველანი გაიხარეს: ნაში ხიხო ᲐᲠᲢᲔᲛᲘᲩ მობრძანდი, რაც გინდა, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ვიქთო შენთვისაო და მართლაც ისეც ქნეს. ᲝᲠ დღეზე ათასი თუმანი შევკარ, ჩავდე კანვერტში და ზედ დავაწერე: „ᲗᲘᲤᲚᲘᲡ, ᲘᲔᲚᲝ ᲑᲚᲐᲚᲝᲠᲝᲠᲝᲓᲘᲣ.... ᲐᲠᲐ, ᲘᲔᲚᲝ ᲕᲘᲡᲣᲙᲣᲑᲚᲐᲚᲝᲠᲝᲓᲘᲣ ხიხო ᲐᲠᲢᲔᲛᲘᲩᲣ ᲐᲢ ხიხო ᲐᲠᲢᲔᲛᲘᲩᲐ", და ფოჩტაში ჩავაგდე.

— მერე არ გეშინოდა იქით რომ მიდიოდი? Ვკითხე მე.

— როგორ არ მეშინოდა, ᲢᲘᲤᲘ არ

ეს კომისია დაბრუნდა ახლა იმერეთიდამ და დარწმუნდა, რომ იმერეთის ვაზს არავითარი ახალი ავათმყოფობა არა აქვს.

*** ქახეთიდამ გვატყობინებენ, რომ პირუტყვის ჭირი იქითკენ ჯერ კიდევ არ მოსპობილა. ამ გვარსავე ამბავს გვწერენ აგრეთვე იმერეთიდამაც.

*** თურ ოგორი სიძვირეა ამ ჟამად ბურიაში და განსაკრთრებით ქალაქს ოზურგეთში, ამის დასამკიცებელად გვწერენ, რომ ქათამი ამ ჟამად ოზურგეთში მანეთად და ხან ექვს აბაზათ ის ყიდებაო, ინდაურს კი სამ მანეთს ნაკლებ ვერ იშოვნითო; ამის და მსგავსად ყოველ გვარი ხორაგი გაძვირდაო.

*** დღევანდელს ნომერში დაბეჭდილის განცხადებიდამ შეიტყობთ, რომ მომავალ ორშაბათს მაისის 15-ს ქართული სცენის მოყვარენი წარმოდგენის გამართვას აპირებენ; თამაშობენ მოლერის სამ-მოქმედებიან კომედიას „ძალად ცოლის-შერთვევინებას“ და ანტონოვის ვოდევილს— „ტივით მოგზაურობა.“

ოსმის ამბები

ოსმის შემდეგ

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ შუმლის, ვარნის და ბათუმის დათმობის შესახებ, ჯერ რუსეთსა და ოსმალეთს შუა თანხმობა არ ჩამოვარდნილა და არც ჩამოვარდებაო, სანამ ნამდვილად არ შეიტყობენ—თუ რით გაათავებს საქმეს გრაფი შუვალოვი პეტერბურღში; მოგეხსენებათ, რომ შუვალოვს მიაქვს პეტერბუღში ინგლისის მოთხოვნილება; თუ რუსეთი დათანხმდა, მაშინ კონგრესსი შესდგება, თუ არა და, ამბობენ, ინგლისი დაუყოვნებლად ომს გამოუცხადებს რუსეთსაო.

ზოგიერთ გაზეთებს იმედი აქვთ, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდებაო; მაგრამ მომეტებული ნაწილი კი იმ ჰაზრისანი არიან, რომ ომი აუცილებელი არისო; ყველა იმის შესრულება, რასაც ინგლისი თხოულობს, რუსეთს არ შეუძლიანო.

—

სტამბოლელი კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთის „ტაიმსისა“ ამბობს, რომ ღენ. ტოტლებენი დაჰპირდა ოსმალებსაო, რომ თუ შუმლას, ვარნასა და ბათუმს დაცლით, ჩვენ ადრიანოპოლამდინ გავსწევთ ჩვენს ჯარს და ამას გარდა არზრუმსაც უკან დაგიბრუნებთო. მაგრამ ამ პირობაზე პეტერბურღში არ დათანხმებულან.

—

რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“ სხვათა შორის შემდეგი ამბავია დაბეჭდილი ყაუსიდამ 18 აპრილს მიღებული:

„აქაური ოსმალოები როგორღაც უჩვეულებრივ მღელვარებაშა არიან ამ უკანასკნელ ღროს. ამ სამი დღის წინათ ჩვენმა (რუსის) პოლიციამ დაიჭირა ერთი ყუთი, რომელშიაც 10,000 თოფის-სროლა იყო ჩაწყობილი ღა რომელიც ოსმალოებს ღამე დასამალავად მიჰქონდათ. თითქმის მუდამ ღღე ხან ერთთან და ხან მეორესთანა გროვდებიან საიდუმლოთ აქაური მამადიანები და რაღაცაზე ლაპარაკობენ. ორი დღის წინათ ღენ. ბეიმანის საკვდილისა იმის ფანჯარაში ვილამაც ერთი დიდი ქვა შეისროლა.“

—

პეტერბურღელი კორრესპონდენტი ზემოხსენებულისავე გაზეთისა ამბობს, რომ ქრონშტატის ციხეში და საზოგადოთ ბალტიის ზღვისკენ რუსები გაცხარებით ემზადებიან საომრად, ციხეებს ამაგრებენ, სურსათს აგროვებენო და სხვ.

—

ვენის გაზეთს „პრესსში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ რუსებს თითქმის მუდამ კვარა ახალი ჯარები და ზარბაზიები მოუდით სან-სტეფანოშიო, ამ ქალაქის გარშემო ადგილებს იმაგრებენო და საზოგადოთ იქ დიდი მზადება არის ომისთვისაო.

საგაასო

პასუხი უ. ჯ. თუმანიშვილს *)

(დასასრული)

ქალაქს ბევრი ხარჯი აქვსო, ვალი მართებსო, ამბობს უ. თუმანიშვილი. კი, მაგრამ ქალაქს ასაღები ფულებიც ბევრი აქვს, მეტი ვალზე. არ შეუძლია გაისტუმროს ვალი ასაღებ ფულიდან? ქალაქის სამმართველო, აზნაურობის დეპუტატთ კრება და აზნაურობის ბანკი რომ ფულებს იხდიან წელიწადში სადგომებისათვის, ეს ფული განა არ შეადგენს კაი ძალი ფულის სარგებელს? ბარდა ამისა მეც ვიტყვი და სხვანიც დამეთანხმდებიან, რომ თუ ქუთაისში ზალა იქნა მოწყობილი, სადაც წარმოდგენების გამართვა შეიძლებოდეს, ზალას არამცა და არამც რეაას მანეთზე ნაკლები შემოსავალი არ ექნება წელი-

*) „დროება“ № № 88 89.

ყოფილიყო, მაგრამ მეც ხიტრულად მოვიქეცი: ერთი ვინმე შემხვდა და რომ არ იფიქროს მშიშარა ვარ, ყვავილიდგან მოვეყე. იქ ხომ ყვავილის ავათმყოფობა არ არის? მითხრა არაო. მაშ ის რაღაც ემე ტოფია, როგორღა არის? რომ შეეიტყე არაფერია მაშინ გული დავიმშვიდე.

— შენ ხომ ყვავილი გიხდია და დაჩენჩილი ხარ, მაგას რად ჰკითხამდი?

— მა პირში ეგ მამხვდა, ის რას გაიგებდა მიხდია თუ არა!

ეს ჩემი მობაასე იქნება ესე 45 წლისა, სახე ყვითელი და გძელი, თავი წოწოლა, შუბლ-მოკლე, ყბა მოგრეხილი, გძელი ცხვირი, პირ დაჩენჩილი, თვალებ მოგრეხილი, დიდრონი ყურები, დორბლიანი ტუჩები და შავი წვირი. ამასთან უშნო, უსიტყვ-პასუხო, ყოველ სულელურ სიტყვაზე მწვანე კბილებს გამოყრის და უშნოთ იცინის, ამის სიცილი სწორედ ეირის ყროყინს გავს. ამაზე დაუმიტე მისი სიბრიყვე და სისულელეც და წინ დაგხვდებათ ხახო არტემიჩი. თანაც საშინელი შურიანი, ძუნწი, ხარბი, ურიასავით დიდი სარგებლის ამღები, მუშის ფასის დამკლები, ცრუ და ტრაბახი.

— ბზა როგორი იყო? ჰკითხა ჩემ გვერდ მჯდომა მოგზაურმა.

— უჰ მაგას ნუღარ იტყვი, ცხენები მუცლამდის და გორგოლაჭები თვალებამდის იფლებოდნენ ტალახში. მაგრამ სტანციებში რა მამაძაღლები არიან ის სტაროსტები: ერთ სტანციაში მითხრეს: ლოშადი ნეტუო. ასე რატო არ დაუყვარე, ფეხები დაუბრაგუნე და ასეთი სიტყვები მივარტყი: პაზავი სმატრიტელმეთქი, რომ შიშისაგან წელქვეით დაიფხანა.

— აბა თუ, ხიხო არტემიჩ, შენც სუსხი ენა გქონია, ისე მიგირტყამს, რომ სიმწარისაგან დაუფხანია. როგორ მოგეწონა ოზურგეთი? ვკითხე მე.

— ბიჭო, რა ლამაზი ქალები ყოფილან და ბიჭებიც რომ ქალებს გვანან, ისეთი კარგები არიან.

— ხიხო არტემიჩ, იქ არ იყავი, სადაც ჩვენი ჯარები არიან?

— როგორ არა, იქ მუხა ესაძეზე. როცა წაველი, ყაზახის პოლკონიკმა მითხრა: ახარ, მარტო ვერ გაგიშვებ, რომ ტყვედ წაგიღონ, შენი გულისთვინ ორი ფაშა უნდა მივცეთ. ერთი ყაზახი მამცა, მე წინ მივდივარ, ის უკან მამდევს, უკან, გესმის. ერთიც ენახოთ მიველით, ჩასავები ჩახ-ჩუხ ათამაშებენ თოფებ და მეჭიმებიან; მეც ვიფიქრე: მოდი დიდკაცათ ვაჩვენებ ჩემ თავს და სულ ჩესტი ვაძლევდი...

ამ ლაპარაკში დროც გავიდა და მიუახლოვდით მცხეთას იქით ხიდსა. მაშინისტმა დააკივლა ლოკომიტივი და შეუმოკლა სიარული. ხიხო არტემიჩმა იკითხა: რა ამბავიაო? მე გავეხუმრე, ხიდი ჩაწყვეტაა აპირებს და მისთვის ნელა მივდივართ. რაც რომ ამან პირჯვარი იწერა და იძახა: „ეოლოორმი ქეზი ასტუაც!“ სათვალავი არა აქვს.

ფადში წარმოდგენებისაგან. წარმოდგენებს ხომ დიდი მნიშვნელობა ექნება ზნეობითათ საზოგადოებაზე.

ქერძო პირებისთვის თუ კია შესაძლო ააშენონ თავის ბიწაზე, ჩვენ რომ სახლზე ელაპარაკობთ, იმასთანა იმ პირობით, დიდის ვადით, ერთი ორმოცი წლით, შეეკრან ბანკი და ქალაქი სადგომების ქირაობაში, რატომ აზნაურობის ბანკსა და ქალაქს არ შეუძლია ამისთანა სახლის აშენება? ქერძო პირები თუ კი სარგებლობას ჰხედავენ ამაში, ქალაქს და ბანკს რა დაუშავებია? თუ სულელები არიან ის ქერძო პირები? არა, არ არიან სულელები. იმათ თქვენ უფრო კარგათ იცნობთ, ვიდრე მე.

უ. თუმანიშვილის ჰაზრით, მე ვფიქრობ, ვითომ იმ შვიდ კაცს, რომელნიც ნახსენები იყვნენ ჩემს კორრესპონდენციაში, არ გააჩნიათ ძუთაისში არავითარი მამული, რომ ისინი არიან უშვილო-ძირონი და უცხო ქვეყნის შთამომავალნი. არ გიკვირს, მკითხველო, საიდან გამოიყვანა ეს ჰაზრი უ. თუმანიშვილმა? ვთქვი მე რამე, რომ მათ მამული არ აქვსთ ძუთაისში, რომ ისინი უცხო ქვეყნის შთამომავალნი არიანო? მამულსა და შვილ-ძირიანობას არ შევხებიეარ მე. მაგრამ ეს კია: თავის მამულისადმი (ე. ი. თავის საკუთრებისადმი) მიზიდულება ბევრს რასმე აქნევინებს კაცს და გადააბიჯებინებს ამ წრეს, სადაც საზოგადოებრივ კითხვებს ალაგი არ აქვს. უცხო ქვეყნები მე კი არ ეუწოდე იმათ; მე ვამბობდი, რომ თვითონ ისინი უწოდებენ ასე თავის თავს, რომ ისინი გასკუპულნი ბრძანდებიან განზედ და ქართველობასა და თავიანთ შუა ჰსდებენ ჩინეთის კედლათ სიტყვას „ფრანგი“. ეს უკანასკნელი სიტყვა ჩემი შეთხზული ხომ არაა? ყოველმა კაცმა იცის. რელიგიურ გასხვავებას მე არ ვსთვლი ისეთ მიზეზათ, რომელმაც ადამიანებს ერთი-მეორესთან გონიერი ცხოვრება და მოქმედება მოუშალოს თუ ეს ადამიანები გონიერებია. რელიგია სინიდისის საქმეა, და მე ვფიქრობ სამს ქართველს: ერთს მართლმადიდებელს, მეორესმაჰმადიანს და მესამესკათოლიკეს, შეუძლიან კარგათიცხოვრონ ერთათ და იქონიონ ერთი საზოგადო ინტერესი საზოგადო მამულისადმი, თუ ვიწრო გზას არ დაადგებიან. მაგრამ როცა ბაბილონის ენათარეულება მოჰხვდება სიტყვებში, როცა სიტყვები „ქართველი“, „მაჰმადიანი“ და „ფრანგი“ უჰაზროთ ტრიალს დაიწყებენ, ცუდია განსაკუთრებით ისეთ საზოგადოებაში, რომელთა წევრების უმეტესობა ცოტათ გასხნილია და უმცირესობა, რომელსაც საქმის გამგებათ მიაჩნიათ თავი, არ ჰსცდილობს თავის მოძმენი, თუ თანამორწმუნენი ცრუ სიტყვებს ააშოროს და თვალი აუხილოს. სიტყვა „ფრანგი“ სულაც არ არის ნახმარი ამ ჰაზრით, რომ ვისიმე სარწმუნოებას შეურაცხყოფა მიეყენოს, ან ვისმე მოღალატობა დაჰსწამდეს. ეს ითქვა ზოგიერთ გვამთა გასკუპებულობისათვის. შეიძლება კაცმა ქვეყანას არ უღალატოს გარეშე მტრების პირ-და-პირ შემოყვანით, ბაზინეს გაცარცვით, ქალაქის გადაწვით და მავნებელ ჰაზრების გავრცელებით, მაგრამ ის კი ადვილათ შესაძლებელია, რომ განზე გადგეს და ქვეყნის საჭირო საქმეს ყური არ ათხოვოს.

უ. თუმანიშვილი დესპოტობას მაბრალებს; ვითომ მე ვთხოულობდე, რომ თავისი ჰაზრი არავინ გამოსთქვას თავისუფლათ, თორემ გაზეთში დაეუწერ და სხვ. მაგრამ მკითხველს კარგათ ახსოვდეს იქნება, რომ მე ჰაზრს კი არ უ ბ/ გევარ წინ, უჰაზრობა ვახსენე. ყოველს შემთხვევაში, რასაკვირველია, ყოველს კაცს ნება აქვს ჰსთქვას, რაც უნდა, მაგრამ ყოველს კაცს, და არა ზოგიერთს. შეუძლია სხვას, რომ სხვა ჰსთქვანენას არავინ მოსჭრის. „სულელური თავმოყვარეობა“ რათა ჰსთქვაო? როცა ვინმე წამომდგარა და ეწინააღმდეგება წინადათებას, რომელიც რამოდენიმეთ მაინც არის საფუძვლიანი, და თავის წინააღმდეგობას არა ვითარის საბუთით არ ამტკიცებს, რა დაეუძახოთ ამისთანა მოქმედებას? პატიოსანი, ჭკვიანური, გენიოსური? არ ივარგებს.

უფ. თუმანიშვილი ჰფიქრობს, ვითომ მე წინადადების შემტან ადამიანებს ვადარებდე ბუტემბერგთან და სტეფენსონთან, მაგრამ ესეც სიცრუეა. არა მითქვამს-რა ამისთანა და არც მიფიქრია. როგორ გგონიათ, უ. თუმანიშვილო, მე რომ ვსთქვა, მაგალითათ, უ. პ. თუ-

---

პატარა სული რომ მოიბრუნა, შაჰის მოსვლის ამბების შეტყობა მოინდომა.

—ერთი მითხარით, შაჰი როგორ მობრძანდა და როგორ წაბძანდა? მეც უამბე ბევრი რამ მართალი, ბევრიც ჩვენი კინტოების გამოგონილი. თანაც უთხარი, რომ მისი რძალი საუკეთესო ლოჟაში იყო მიწვეული, დიდ-კაცის ცოლებთან ერთად იჯდა და ბაღში შაჰის გასეირნების დროს სხვა დიდ-კაცის ცოლებთან ისიც წარუდგინეს; შაჰი დიდის პატივისცემით დაელაპარაკა. ეს რომ გაიგო, შურისგან სულ აინთო.

— კარგი თუ ეს ჩემი ცოლი არ იცის, თორემ ერთი ხათაბელას ამიტეხს, მოსვენება აღარ მექმება: რატო შაჰისთან არ წამიყვანეო! აბა მე რა მეშაჰიებოდა, როცა ათასების ანგარიში აქეთ მქონდა; ეს გამეშო და იქ წავსულვიყავ? მახლას ეს დედაკაცები ვერაფრით გააძღობ...

— დედაკაცი კარგი რამ არის, ხიხო ართემიჩ, მეტად როცა ოქროს ქოჩრიან ბიჭს წინ გაგიგორებს, ამაზე კაი მოგება რა გინდა! უთხრა ჩემმა მეზობელმა.

— მოგება კი არა ზარალია. ეს ბებიაზე, დოხტორზე, ნათლობაზე ხარჯი, ეხლა ძიძასაც იჭერ თვეში ორ თუმნად და ერთიც ვნახოთ ხუთ-ექვს თვეზე კისერ ჩაჰკიდებს, თანაც გეჩხუბებიან, ყოჩაღი ვერა ხარო!..

ამაობაში მცხეთის იქით რომ ავათმყოფების ბარაკებია, დაუახლოვდით. ჩემმა მეზობელმა გაცინვით უთხრა: აქ უნდა სუთქი არ ჩაუშვათ გულში, თორემ ტიფი ჩაგვიძვრებაო. ამ საცოდავმაც ცხვირ და პირს ისე ხელი მოუჭირა და სული შეიგუბა, რომ გული კინაღამ შემოეყარა. მე თავი ველარ შევიმაგრე, გამეცინა, მიხვდა და წყრომით გვითხრა:— არა, ძმაო, თქვენთან ჯდომა ხათაბალაა, ისეთი ეშმაკები ყოფილხართ, სჯობს მოგშორდეთ.

ავჭალას რომ გამოვცილდით ფაეტონის შოენაზე მოვყეევით ფიქრს და ლაპარაკს—ვიშოენით თუ არაო. ამ ხიხო ართემიჩმა თავის ჭკუის და მოხერხების ნიმუშად გვიამბო შემდეგი:

— ორშაბათ რომ კრუჟოკიდგან გამოველ, ფაეტონი იდგა კარებზედ, უთხარ: ხვალ რომ დილის ცხრის ნახევარზე მოხვიდე ჩემთან, წამიყვანო ქელეზნი დაროგის სტანციაში, რა მოგცე? მთხოვა ორი მანეთი. მე ვაძლიე მანეთი; ბოლოს მანეთ ნახევრად გაურიგდი, ბეი მივე და კნიაკა გამოვართვი. მხლა მეუბნება: შენი სახლი რომ არ ვიცოდ? უთხარ, წამოდი გიჩვენებ და მოვიყვანე ჩემ სახლში სოლოლაკის სული ბოლოს. მოსაყვან ფულს მთხოვს. „მა, გიჟი ხარ, რად მოგცემ? მე ფეხით სეირნობა მინდოდა, შენი გულისთვის წამოველ, რომ გიჩვენო სახლი!“ ესე ორი აბაზი შემრჩა და ვაგზალში წასვლა მანეთი და ორი მაური დამიჯდა.

ამასობაში მოველით თფილისში; მე და ჩემი თანამომგზავრე ჩავსხედით ფაეტონში; ხიხო ართემიჩმა კი დროგი იქირავა სხვებთან საამხანაკოთ და ისე წამოვიდა, თუმცა ფაეტონები იმ ღამეს ბლომად იყვნენ....

სტ. მ—ლი

მანიშვილმა ესა-და-ეს ჰაზრი წარმოსთქვა ქალაქის რჩევაში და სასარგებლო იყო-თქო, ნუთუ იქიდან ვინმე იმ ჰაზრს გამოიყვანს, რომ მე თქვენ, თქვენს წინადადებას ანუ ჰაზრს და მის საფუძვლიანობას ვადარებდეთ პალატაში მოლაპარაკე ბამბეტასთან, მის წინადადებასთან და მის წინადადების საფუძვლიანობასთან? რა წინადადება იყო ისეთი, რომ ბუტენბერგობა ან სტეფენსონობა ყოფილიყო საჭირო? არც ძაღლების დაბაქვის წინადადებაა ისეთი, რომ მისი შემტანი, სტეფენსონთან და ბაუტემბერგთან კი არა როტემბერგთან შეევარდაო.

დასასრულ ვიტყვი ბანკის საზოგადოების საყურადღებოთ კადევ იმას, რომ საზოგადო ზალის და ბანკის სადგომის მოპოვებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, საქმე წინ წაიგდოს, რომ სხვა-დასხვა შემთხვევეებში უანგარიშოთ არ დახარჯოს ფული, როგორც სამეფო სახლზე.

ა. ჭიჭინაძე

ქუთაისი 2 მაისს.

ნარევი

დარიგება

ბირჩვ, უმაწვილო, ყოველთვის
ერიდო წითელ კაბასა:
ბული დაგეწვის შენ მისთვის
და ველარ იზამ თმობასა!

—

ის შორიდამ გინათლებს
და მიგიტყუებს ნელათა,—
თვითონ სანთლათ იქცევა,
შენ გადაგაქცევს პეპლათა!

—

მაშინ უყურე შენს ყოფას:
ჯერ თავს ბრუდი დაგესხმება
და რომ გასწევ ერთგულობას,
ბრივ ფრთები დაგეწვება!

მ. ჯორჯაძე

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ მომავალ ივნისის 1-ს, იმის თანდასწრებით იქნება მხოლოთ ერთხელ ვაჭრობა (ტორგი) მეტეხის და თფილისის საპყრობილოსათვის შეშის იჯარით მიცემაზედ.

(3—1)

15 მაისს, ბრშაბათს,
თფილისის საზაფხულო თეატრში
ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება
„ქალად ცოლის-შერთვევინება
კომედია მოლლიერისა
და
„ტივით მოგზაურობა“
ვოდევილი ანტონოვისა

ბილეთების ყიდვა შეიძლება თეატრის კასსირს უ. პეტროვსკისთან და წარმოდგენის დღეს თეატრის კასსაში.

შემოსავალი ამ წარმოდგენისა დანიშნულია ორი ახალგაზდა მოსწავლე ყმაწვილისათვის.

(3—1)

ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“
ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი
ვასილი აბაშიძისა

ისყიდება: თ ფ ი ლ ი ს შ ი—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს შ ი—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ყმაწვილ კაცს

ზედმიწევნით მცოდნეს ფრანცუზულის ენისას ჰაურს აძლიოს ამ ენის პრაქტიკული და თეორიული **გაკვეთილები**. თუ საჭირო იქნება თანახმაა სოფელში ან სადმე სხვა ქალაქში წაჰყვეს მსურველს, ანუ თვით ქალაქში დადგეს ოჯახში. **ადრესის შეტყობა „დროების“** რედაქციაში შეიძლება.

ტყავის ქარხანა თფილისში

დამოკანის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-და-პირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეჭირებათ, **რომ ამ ქარხანაში კეთდება და მუდამ მზა-პოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი ფაღეტისთვის, უნაგირისა, კარეტის და ფაეტონებისა, ჩექმებისა ლანჩა** და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტორაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვეთოს და გაუკეთებენ. **წვრილ-წვრილად** ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღაზიაში, **სიონის** პირ-და-პირ.

(25—17)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

თამარ დედოფალი

ოთხ-მოქმედებიანი ტრაგედია
ბადაკეთებული **ბრ. რჩეულოვის** რომანიდგან—**„თამარ საქართველოს გატონიშვილი“**
კ. მესხისაგან

(5—4)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ბ ი ტ ყ ვ ა თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ბდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ბსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ბზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ბზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 10 მაისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	70
ფქვილი წითელი . .	1	50
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთ.	6	60
—თარაქამისა ფუთ. .	3	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ძონი, ფუთი. . .	6	—
ძონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	13	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა .	—	81
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	30
—ფხვნილი ფუთი . .	6	20
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში. 1 70
ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ. 1 50
ბ რ შ ა ბ ა თ ს: ქიუჩარიანც—ხირურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავთმყ. 1 40
ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავთმყოფობის, რეიხი და ბახუტონი—ბებიაობის თვალის. 7 50
ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი ავთმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავთმყოფ. 8 50
ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი ავთმყოფ. ბავრინსკი—ქალის და ობრეზტი—კბილის. 10 —
პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი. 6 60
შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგანი ავთმყოფობის., რეიხი—თვალის ავთმყოფ. 3 60
და ბაკეტი—გულის და ნერვების. 2 —
6 —
8 —
13 20
— 81
— 81
5 20
8 30
6 20
— 70
13 —
8 50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Мая 1878 г. Типографія Меликова. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.